



GEORGIAN FOUNDATION FOR  
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

საქართველო გეზს იცვლის — საით მიემართება?

კახა გოგოლაშვილი

224

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## ექსპერტის აზრი

კახა გოგოლაშვილი

საქართველო გეზს იცვლის – საით მიემართება?

224

2024



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო  
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2024 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-6903-7

## რეზიუმე

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობებს გეზი ევროპული ინტეგრაციისკენ ჰქონდათ აღებული, რაც უმრავლესობის ნებას გამოხატავდა. ამ დროს დაინერგა ევროპული სტანდარტები და გატარდა რეფორმები, რისი კულმინაციაც იყო 2022 წელს მიღებული „ევროპული პერსპექტივა“ და 2023 წელს მიღებული ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, მაგრამ შემდეგ, მოულოდნელად, მმართველმა პარტია „ქართულმა ოცნებამ“ უგულბებლყო ევროკავშირის რეკომენდაციები და თითქოს პრიორიტეტი მიანიჭა „სახელმწიფოს სუვერენიტეტს“ და დამოუკიდებლობას გადანყვეტილებების მიღებისას.

ამ პოზიციას, რომელიც პუტინის „სუვერენულ დემოკრატიას“ მოგვაგონებს, წინააღმდეგობრივი ქმედებები მოჰყვა, როგორცაა სასამართლო რეფორმებისა და საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესება. ევროკავშირთან ალიანსის ნაცვლად, მთავრობამ რუსეთთან ეკონომიკური დაიწყო კავშირების გაძლიერება, განსაკუთრებით, მისი უკრაინაში შეჭრის შემდეგ. ყველაზე თვალსაჩინო ნაბიჯი კი იყო უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღება, რომელიც რუსეთის 2012 წლის კანონის ანარეკლია და მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის კონტროლს. ამან გამოიწვია საზოგადოების პროტესტი, გახლეჩა და საერთაშორისო პარტნიორობის შეშფოთება, გაზარდა საქართველოს იზოლაცია დემოკრატიული სამყაროსგან და მისი დაუცველობა ავტორიტარული ძალებისგან, განსაკუთრებით, რუსეთისგან.

ამ ყველაფერთან დაკავშირებით ჩნდება მთავარი კითხვები: რატომ აირჩია „ქართულმა ოცნებამ“ ეს სარისკო გზა? ქართველების უმეტესობა ხომ მხარს უჭერს ევროინტეგრაციას, მაშინ როგორ უნდა უპასუხონ ევროკავშირმა და საერთაშორისო საზოგადოებამ „ქართული ოცნების“ პოლიტიკას, რომელიც ქვეყანას ევროპას აშორებს?

## ევროკავშირში განვერიანება – ქართველების მთავარი პრიორიტეტი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ გამოიარა ძალაუფლებისთვის ბრძოლა, ეკონომიკური სიდუხჭირე, გადატრიალებები და ტერიტორიული კონფლიქტები. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ევროკავშირში განვერიანებისკენ სწრაფვა მუდმივად ამოძრავებდა ქართველების უმრავლესობას. შესაბამისად, თანმიმდევრული მთავრობები მტკიცედ იცავდნენ ამ მიზანს. მათი ძალისხმევა მნიშვნელოვანი შედეგებით დაგვირგვინდა: საქართველო შეუერთდა ევროპის საბჭოს (CoE) და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას (WTO), ხელი მოაწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას (PCA) ევროკავშირთან, ინტეგრირებულია საერთაშორისო საზოგადოებაში, შეუერთდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკას (ENP) და აღმოსავლეთ პარტნიორობას (EaP), ხელი მოაწერა ასოციირების შეთანხმებას (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცის (DCFTA) შეთანხმებას, მოიპოვა უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ევროკავშირთან და 2023 წელს მიადნია ევროპულ პერსპექტივას და ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს. ეს ეტაპები ასახავს ევროინტეგრაციის მიმართ საქართველოს პროაქტიულ და ურყევ ერთგულებას.

## შემობრუნების პირველი ნიშნები

2021 წლის აგვისტოში მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოულოდნელად უარი თქვა ევროკავშირის მეორე ტრანშზე (75 მილიონი ევრო) 150 მილიონი ევროს გრძელვადიანი სესხიდან, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მოეთხოვებოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების დანიშვნასთან დაკავშირებული რეფორმები.<sup>1</sup> ეს უარი მოჰყვა ევროკავშირის პირობებზე თავდაპირველ თანხმობას, რომ საპარლამენტო უმცირესობას შესაძლებლობა მიეცემოდა გავლენა მოეხდინა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების დანიშვნაზე.<sup>2</sup>

ცოტა ხნით ადრე, 2021 წლის 30 ივნისს, „ქართული ოცნება“ გამოვიდა ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული შეთანხმებიდან,<sup>3</sup> რომელიც მიზნად ისახავდა 2020 წლის სადავო არჩევნების შემდეგ წარმოქმნილი პოლიტიკური კრიზისის მოგვარებას. შეთანხმება, რომლის მიღწევასაც შუამავლობდა ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი, ითვალისწინებდა სასამართლო სისტემასთან, საარჩევნო კოდექსსა და პარლამენტში ძალაუფლების განაწილებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას. შეთანხმებიდან გამოსვლას მწვავე რეაქცია მოჰყვა არა მარტო ევროკავშირიდან, არამედ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდანაც, სადაც განაცხადეს, რომ „...ღრმად შეწუხებული და აღშფოთებული არიან პარტია „ქართული ოცნების“ ცალმხრივი გადაწყვეტილებით 19 აპრილის შეთანხმებიდან გამოსვლის თაობაზე“<sup>4</sup>

## ევროკავშირის კანდიდატობა – არასასურველი საჩუქარი

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში შეცვალა გეოპოლიტიკური რეალობა. მამაცურმა წინააღმდეგობამ უკრაინას ევროკავშირის მხარდაჭერა მოუტანა ევროკავშირში განევრიანების მისწრაფებაში და შედეგად უკრაინამ 2022 წლის 28 თებერვალს ევროკავშირში განევრიანებაზე განაცხადი შეიტანა. უკრაინის შემდეგ მოლდოვამ და საქართველომაც წარადგინეს განაცხადები. უკრაინასა და მოლდოვაში ამ ნაბიჯის ინიციატორები მთავრობა იყო, საქართველოში კი ეს „ქართულ ოცნებას“ საზოგადოებრივმა ზენოლამ და საპარლამენტო ოპოზიციამ აიძულა. 2022 წლის 22 ივნისს უკრაინასა და მოლდოვას ევროპულმა საბჭომ მიანიჭა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, ხოლო საქართველომ მიიღო

- 1 Macro-financial assistance to Georgia of up to EUR 150 million. MEMORANDUM OF UNDERSTANDING between The European Union as Lender and Georgia as a borrower. *European Commission*. 2020. Page 5. [https://economy-finance.ec.europa.eu/document/download/5a0d3c01-b4ac-4960-b45e-de59ca119cb5\\_en?filename=georgia\\_mou\\_2020\\_en.pdf](https://economy-finance.ec.europa.eu/document/download/5a0d3c01-b4ac-4960-b45e-de59ca119cb5_en?filename=georgia_mou_2020_en.pdf)
- 2 “Georgia to Refuse Conditional EU Loan, Garibashvili Says”. *Civil.ge*. 31/08/2021. <https://civil.ge/archives/437831>
- 3 ‘A way ahead for Georgia’. Proposal by President of the European Council Charles Michel to the representatives of Georgian political parties. *European Council*. 18 April. 2021. [https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/210418\\_mediation\\_way\\_ahead\\_for\\_publication\\_0.pdf](https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/210418_mediation_way_ahead_for_publication_0.pdf)
- 4 U.S. Embassy statement on Georgian Dream’s withdrawal from April 19th agreement. *US Embassy in Tbilisi*. 29.07.2021. <https://ge.usembassy.gov/u-s-embassy-statement-on-georgian-dreams-withdrawal-from-april-19th-agreement/>

„ევროპული პერსპექტივა“, კანდიდატის სტატუსის დაპირებით, ევროკომისიის მიერ შეთავაზებული 12 პრიორიტეტული რეფორმის<sup>5</sup> შესრულების პირობით, რომლებიც მითითებულია ევროკომისიის მოსაზრებაში<sup>6</sup>, სადაც ასევე აღნიშნულია სასამართლო რეფორმა, დეოლიგარქიზაცია, მედიის თავისუფლება და ანტიკორუფციული ზომები მიღება.

2023 წლის თებერვალში „ქართულმა ოცნებამ“ თავისი შვილობილი პარტიის, „ხალხის ძალის“, მეშვეობით შემოგვთავაზა წინააღმდეგობრივი კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ, რომელიც ავალდებულებს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და დამოუკიდებელ მედიას დარეგისტრირდნენ, როგორც „უცხოური აგენტები“. კანონი მათთვის სავალდებულოს ხდიდა ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის დეტალურ გასაჯაროებას იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე და აწესებდა წელიწადში ორჯერ მკაცრი მონიტორინგის ჩატარებას, მათ შორის, პერსონალურ მონაცემებზე წვდომას და მნიშვნელოვან ფინანსური ჯარიმებს შეუსრულებლობისთვის. მონაწილე მხარეებთან კონსულტაციის გარეშე შემოღებულ კანონს მოჰყვა ფართო წინააღმდეგობა სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, მათ შორის, ევროკავშირისა და აშშ-ის მხრიდანაც. მასობრივი საპროტესტო გამოსვლების, რომელსაც Gen-Z აქტივისტები ხელმძღვანელობდნენ და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მხარდამჭერების ზეწოლით „ქართულმა ოცნებამ“ კანონი უკან გაიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მანდატით გათვალისწინებული 12 რეფორმიდან 9 მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა, სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატირების ფონზე, 15 დეკემბერს, ევროპულმა საბჭომ ევროკომისიის რეკომენდაციის საფუძველზე საქართველოს მიანიჭა კანდიდატის ქვეყნის სტატუსი. ამაზე „ქართული ოცნების“ ლიდერების გულგრილმა რეაქციამ ეჭვი გააჩინა ევროკავშირისკენ სვლის მიმართ მათ ერთგულებასთან დაკავშირებით.

## შემდეგი ნაბიჯები

შანსი, რომელიც საქართველომ მიიღო, იყო საჩუქარი, რომელსაც უნდა წახალისებინა „ქართული ოცნება“ ახალი პირობების – ევროკავშირის „ცხრა ნაბიჯის“ შესასრულებლად.<sup>7</sup> ამ ახალმა პირობებმა გააერთიანა დარჩენილი შეუსრულებელი პრიორიტეტები და რამდენიმე ახალიც დაამატა, კერძოდ, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა, ევროკავშირის CFSP-ისთან შესაბამისობა და სამართალდამცავი

5 European Council conclusions on Ukraine, the membership applications of Ukraine, the Republic of Moldova and Georgia, Western Balkans and external relations. *European Council*, 23.06.2022. <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2022/06/23/european-council-conclusions-on-ukraine-the-membership-applications-of-ukraine-the-republic-of-moldova-and-georgia-western-balkans-and-external-relations-23-june-2022/>

6 Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union. *European Commission*, 17.06.2022. Page 17. [https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/document/download/a95905d5-9783-4a1b-aeef2-1740a79eda49\\_en?filename=Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/document/download/a95905d5-9783-4a1b-aeef2-1740a79eda49_en?filename=Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf)

7 2023 Communication on EU Enlargement. *European Commission*, 8.11.2023. 690 final. p.75. [https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/COM\\_2023\\_690%20Communication%20on%20EU%20Enlargement%20Policy\\_and\\_Annex.pdf](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/COM_2023_690%20Communication%20on%20EU%20Enlargement%20Policy_and_Annex.pdf)

და უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის გაძლიერება. მაგრამ სულ რაღაც სამი თვის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ ხელახლა შემოიღო კანონპროექტი, რომელიც ერთი წლის წინ გაიწვია. გასაკვირი არ არის, რომ ასეთმა ქმედებამ გამოიწვია მოქალაქეების მასობრივი პროტესტი და საქართველოს პარტნიორების – ევროკავშირისა და აშშ-ის მხრიდან მწვავე კრიტიკა.

## დრამატული განვითარება

ერთი წლის განმავლობაში „ქართული ოცნება“ მასშტაბურ პროპაგანდისტულ კამპანიაში ჩაერთო, რომ გავლენა მოახდინა ადგილობრივ მთავრობებზე, სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობასა და სამართალდამცავ ორგანოებზე. მათ გააძლიერეს და უკეთ აღჭურვეს სპეცდანიშნულების რაზმები და პოლიცია. შედეგად, თვენახევრიანი ყოველდღიური აქციების დროს პოლიცია და შესაბამისი სპეცდანიშნულების ძალები გადამეტებულ ძალას იყენებდნენ, ძირითადად მშვიდობიან მომიტინგეებს ესხმოდნენ თავს და აკავებდნენ. ბევრ დაკავებულს უხეშად მოუპყრნენ, ზოგი კი ქუჩაში სცემა ორგანიზებულმა ჯგუფებმა, რომლებსაც, სავარაუდოდ, „ქართულ ოცნებასთან“ ჰქონდათ კავშირი. დაახლოებით ორ ათეულ მომიტინგეს, სერიოზული დაზიანებებით, მათ შორის მოტეხილობებით და თავის ტრავმებით, საავადმყოფოში გადაყვანა დასჭირდა. „ქართული ოცნება“ მიიჩნევდა, რომ პროტესტისთვის კარგად იყო მომზადებული, მაგრამ დემონსტრაციების ინტენსივობამ და საერთაშორისო რეაქციამ მათ თავდაჯერებას ნიადაგი გამოაცალა.

მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერები გამუდმებით აცხადებდნენ, თითქოს არ ყოფილა კანონის საფუძვლიანი კრიტიკა, ვენეციის კომისიამ<sup>8</sup> და ეუთო/ოდირ-მა(OSCE/ODIHR)<sup>9</sup> წარმოადგინეს კანონის დეტალური ანალიზი. მათ ანგარიშებში ხაზგასმულია, რომ ეს კანონი შეუთავსებელია დემოკრატიულ პრინციპებთან, საქართველოს კონსტიტუციასა და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებთან, მათ შორის, ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის (ECHR)<sup>10</sup> და გეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (ICCPR)<sup>11</sup> მოთხოვნებთან. ამ კრიტიკული მოსაზრებების უგულბეზყოფით „ქართულმა ოცნებამ“ ანგარიშგასაწვეი საერთაშორისო ექსპერტების მოსაზრებები „მიკერძოებულ შეფასებად“ მიიჩნია და თქვა, რომ ისინი ე.წ. „გლობალური ომის პარტიის გავლენის ქვეშ არიან მოქცეული“<sup>12</sup>

8 Georgia - Draft Law of Georgia on Transparency of Foreign Influence. *Venice Commission, Council of Europe*. 13.05.2024. [https://venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-REF\(2024\)021-e](https://venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-REF(2024)021-e)

9 Georgia's "transparency of foreign influence" law incompatible with democratic standards and human rights law: international human rights office ODIHR. *OSCE/ODIHR*. 30.05.2024. <https://www.osce.org/odihhr/569925>

10 European Court of Human Rights. *Council of Europe*. [https://www.echr.coe.int/documents/d/echr/convention\\_ENG](https://www.echr.coe.int/documents/d/echr/convention_ENG)

11 International Covenant on Civil and Political Rights. General Assembly resolution 2200A (XXI). *United Nations*. 16.12.1966. <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-covenant-civil-and-political-rights>

12 გლობალური ომის პარტია - „ქართული ოცნების“ გამოვლილი მისტიკური ჯგუფი, მასონური ტიპის ორგანიზაცია, რომელიც თითქოს მართავს დასავლურ სამყაროს და აპირებს საქართველოს პროვოცირებას რუსეთთან ომისკენ.

28 მაისს, დადებიდან ერთ კვირაში, „ქართულმა ოცნებამ“ დაძლია პრეზიდენტ ზურაბიშვილის ვეტო. კანონი ძალაში შევიდა 1 ივნისს და ამ თარიღიდან სამი თვის შემდეგ სახელმწიფო დაიწყებს იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების მონიტორინგსა და დაჯარიმებას, რომლებიც კანონს არ დაემორჩილებიან. „ბევრი უცხოური დაფინანსების მქონე არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოში აცხადებს, რომ არ შეასრულებს კანონს,<sup>13</sup> არ დარეგისტრირდება, როგორც უცხოური აგენტი და ემზადება სანქციებისთვის. მათ უკვე მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს, მაგრამ მიუკერძოებელი გადაწყვეტილების იმედი მცირეა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სასამართლომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის დამტკიცება არ ჩაითვალა სამართლიანად. შემდეგ ნაბიჯად არასამთავრობო ორგანიზაციები გეგმავენ მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს (ECHR) დროებითი ღონისძიების მოთხოვნით, საბოლოო განაჩენის გამოტანამდე კანონის მოქმედების შესაჩერებლად.

### საერთაშორისო ურთიერთობები

სანამ ზომებს მიიღებდნენ, აშშ-მ და ევროკავშირმა რამდენჯერმე გააფრთხილეს საქართველო და სცადეს ხელისუფლებასთან დალაპარაკება. საკამათო კანონის ხელახლა შემოტანის შემდეგ პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე შეხვდა გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცს, რომელმაც ურჩია ასეთი კანონმდებლობის თავიდან არიდება და ხაზი გაუსვა მის მკვეთრ განსხვავებას ევროკავშირის რეგულაციებთან. შოლცმა აღნიშნა, რომ ქართული კანონი ჰგავდა უნგრულ რეგულაციას, რომელიც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ გააუქმა, და მიაჩნდა, რომ ქართულ ვერსიასაც შესაძლოა იგივე ბედი ჰქონოდა (თუმცა ამჯერად – ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მხრიდან).<sup>14</sup>

ევროკავშირის ოფიციალურმა პირებმა, მათ შორის, ჯოზეფ ბორელმა და ოლივერ ვარჰეიმ, საქართველოს მოუწოდეს უკან გაეწვიათ კანონი. 17 აპრილს, დღეს, როდესაც საქართველოს პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონი პირველი მოსმენით მიიღო, მათ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს, სადაც ნათქვამია, რომ ამ კანონმდებლობის მიღება შეაფერხებს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას და შეუთავსებელია ევროკავშირის ნორმებთან და ღირებულებებთან. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კანონი სასტიკად შეზღუდავს სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ფუნქციონირებას, გამოხატვის თავისუფლებას და უსამართლოდ მოახდენს იმ ორგანიზაციების სტიგმატიზაციას, რომლებსაც გადამწყვეტი როლი აქვთ საქართველოს ევროკავშირში განვითარების პროცესში.<sup>15</sup>

13 Henry Ridgwell. Georgia's NGOs refuse to comply with 'Russian' foreign agent law. *Voice of America*. 13.07.2024. <https://www.voanews.com/a/georgia-ngos-refuse-to-comply-with-russian-foreign-agent-law/7654730.html>

14 PM Kobakhidze Visits Germany. *Civil.ge*. 12/04/24. <https://civil.ge/archives/591551>

15 Georgia: Statement by the High Representative and the Commissioner for Neighbourhood and Enlargement on the adoption of the “transparency of foreign influence” law. *European External Action Service*. 17.04.2024. [https://www.eeas.europa.eu/eeas/georgia-statement-high-representative-and-commissioner-neighbourhood-and-enlargement-adoption\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/georgia-statement-high-representative-and-commissioner-neighbourhood-and-enlargement-adoption_en)



ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჯოზეფ ბორელმა ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს 2024 წლის 24 ივნისის დასკვნების კომენტირებისას განაცხადა, რომ ევროკავშირის წევრი 27 ქვეყნიდან 26 ეთანხმება, რომ კანონი და მასთან დაკავშირებული „ქართული ოცნების“ ქმედებები საქართველოს ევროკავშირისგან აშორებს. ამ წევრი ქვეყნების სახელით, ბორელმა პირობა დადო, რომ ევროკავშირი საქართველოში გაზრდის სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერას დეზინფორმაციასთან ბრძოლისთვის, რომლის გარკვეული ნაწილი ქართველი ოფიციალური პირებისგან მომდინარეობს და გააძლიერებს საარჩევნო პროცესს.

ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა 2 მაისს გაკეთებულ განცხადებაში სამ კრიტიკულ საკითხს გაუსვა ხაზი: მან დაგმო საქართველოს ხელისუფლების ძალადობა კანონის მონინალმდევე მომიტინგეებზე, დაარწმუნა ქართველი ხალხი ევროკავშირის ურყევ მხარდაჭერაში და საზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო გზავრედინზე დგას და უნდა გააკეთოს არჩევანი ან ევროკავშირისკენ, ან საპირისპირო მიმართულებით მოძრაობას შორის. 28 მაისს საკამათო კანონის საბოლოო მიღების მიუხედავად, საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე დაბრუნების მცდელობები გაგრძელდა. იმავე დღეს ევროპარლამენტმა მოუწოდა ევროკავშირის საქართველოს პოლიტიკური პროცესის დაბრკოლების გამო ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესების განხილვისკენ. რეზოლუცია ასევე ვარაუდობდა საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის შეჩერებას, ფინანსური დახმარების გადახედვას, მისი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის გაყინვას და განვკრიანებაზე მოლაპარაკებების შეჩერებას, სანამ კანონი ევროკავშირის სტანდარტებს არ დააკმაყოფილებს.<sup>16</sup>

საბოლოო ტექსტის მიღებამდე სხვადასხვა პოლიტიკურმა ჯგუფმა, მათ შორის ევროპის სახალხო პარტიამ (EPP), შეიმუშავეს საკუთარი წინადადებები. ზოგის შეთავაზება იყო პერსონალური სანქციების დაწესება ყველა პოლიტიკოსისთვის, საჯარო მოხელისა და პოლიციელისთვის, რომლებიც საქართველოში დემოკრატიის უკანდახვეის პროცესში მონაწილეობდნენ. დიდი მოლოდინი იყო საქართველოში, მათ შორის „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს შორის, რომ ევროკავშირი ამგვარ პერსონალურ სანქციებს გამოაცხადებდა. თუმცა, 24-25 ივნისს ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს სხდომაზე კონკრეტული გადაწყვეტილებები არ მიუღიათ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭომ განიხილა სხვადასხვა შემაკავებელი ზომა საქართველოში შექმნილი ვითარების საპასუხოდ, პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს ვერ მიაღწია. ევროკავშირი შემოიფარგლა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღების მიმართ საქართველოს პარლამენტის უარყოფითი განწყობის გამოხატვით. მან ეს პოზიცია გაიმეორა ევროპული საბჭოს 27 ივნისის დასკვნაში, სადაც ნათქვამია, რომ ის „სერიოზულად არის შეშფოთებული საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით“<sup>17</sup> და პირობა დადო, რომ სიტუაციას მონიტორინგს გაუწევდა. ევროკავშირმა ხაზი

16 European Parliament resolution of 25 April 2024 on attempts to reintroduce a foreign agent law in Georgia and its restrictions on civil society. *European Parliament*. 25.04.2024. [https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2024-0381\\_EN.html](https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2024-0381_EN.html)

17 European Council meeting (27 June 2024) – Conclusions. *European Council*. 27.06.2024. <https://www.consilium.europa.eu/media/qa3lblga/euco-conclusions-27062024-en.pdf>

გაუსვა შემოდგომაზე საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებისა და მოკლე და გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიების ჩართულობის ხელშეწყობის მნიშვნელობას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ევროკავშირის იმედი აქვს, რომ მომავალში ხელისუფლებაში უფრო დემოკრატიული და ევროკავშირისადმი მეგობრულად განწყობილი მთავრობა მოვა.

ასევე აქტიურობდა აშშ, რომ საქართველოს მთავრობას შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება. აპრილში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ხშირად აკეთებდა კომენტარს<sup>18</sup> საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე, უარყოფდა „ქართული ოცნების“ მტკიცებას, რომ ეს კანონი შეესაბამებოდა ამერიკულ FARA-ს<sup>19</sup>. მან კანონის შინაარსი „წარმოუდგენლად შემაშფოთებლად“<sup>20</sup> მიიჩნია და მას „კრემლის მიერ შთაგონებული“ რუსული ტიპის კანონმდებლობა უწოდა.

აშშ ასევე ღრმად შეშფოთებული იყო საქართველოს მთავრობის ანტი-დასავლური პოზიციით. ამის პასუხად, ევროპისა და ევრაზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ჯეიმს ობრაიენი 14 მაისს თბილისში ჩამოვიდა. ვიზიტისას ის შეხვდა ქართველ ოფიციალურ პირებს და მათ აშშ-ის ადმინისტრაციის სერიოზული შეშფოთება გადასცა. ობრაიენის ვიზიტი, როგორც ჩანს, მიზნად ისახავდა საქართველოს ხელისუფლების გაფრთხილებას და დარწმუნებას, გადაეხედა საკუთარ პოზიციისთვის. თუმცა, ამ მცდელობებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მან მიიწვია საქართველოს მთავრობა ვაშინგტონში ამ საკითხისა და თანამშრომლობის სხვა ასპექტების განსახილველად. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მიწვევაზე უარი თქვა, იმ მოსაზრებით, რომ აშშ-ის მიერ წამოყენებული პირობა – დელეგაციის ვიზიტის დროს შეეჩერებინათ სადავო კანონის მიღება – იყო დამამცირებელი და მიუღებელი. თავის პრესკონფერენციაზე<sup>21</sup> ჯეიმს ობრაიენმა ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ქართული კანონი არ შეესაბამებოდა აშშ-ის უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტს (FARA) და გააფრთხილა საქართველოს მთავრობა, რომ ასეთი კანონმდებლობა ხელს შეუშლიდა საქართველოს ევროკავშირისა და ნატოში ინტეგრაციის მისწრაფებებს. მან ასევე აღნიშნა, რომ შესაძლოა სანქციები დაწესებულიყო იმ პირებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ დემოკრატიის ხელყოფაში საქართველოში. ობრაიენმა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის მზადყოფნაც გამოხატა, სავარაუდოდ, განვითარებული მოვლენების მიზეზების განსახილველად, მაგრამ ივანიშვილმა უარი თქვა შეხვედრაზე და განაცხადა, რომ უკვე „დე ფაქტო სანქცირებულია აშშ-ის მიერ“. ამგვარი სანქცია არ ყოფილა არც აშშ-ის მთავრობის მიერ დაწესებული და არც საჯაროდ განხილული და ამიტომ მისმა პრეტენზიამ ბევრი გააკვირვა.

18 US State Department comments on Georgia’s draft Law on Foreign Influence Transparency. *Georgian Public Broadcaster*. 04.04.2024. <https://1tv.ge/lang/en/news/us-state-department-comments-on-georgias-draft-law-on-foreign-influence-transparency/>

19 Foreign Agents Registration Act

20 US Department of State finds Georgian Transparency bill “incredibly troubling”. *Georgian Public Broadcaster*. 26.04.2024. <https://1tv.ge/lang/en/news/us-department-of-state-finds-georgian-transparency-bill-incredibly-troubling/>

21 Assistant secretary of state for European and Eurasian affairs James O’Brien remarks to media in Tbilisi. *US Embassy in Tbilisi*. 14.05.2024. <https://ge.usembassy.gov/assistant-secretary-of-state-for-european-and-eurasian-affairs-james-obrien-remarks-to-media-in-tbilisi/>

30 მაისს, კანონის მიღების შემდეგ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა სასწრაფოდ დაუწესა მოგზაურობის აკრძალვა 36 ქართველ პოლიტიკოსსა და თანამდებობის პირს, რომლებიც მონაწილეობდნენ კანონის ამოქმედებასა და მშვიდობიანი მომიტინგეების ძალადობრივ დარბევაში. გარდა ამისა, აშშ-ის კონგრესმა ორივე პალატაში წარადგინა ორი კანონპროექტი, რომელიც ეხებოდა ქართველი ოფიციალური პირებისთვის მკაცრი სანქციების დაწესებას. ეს კანონპროექტები მიზნად ისახავს ქართველი ხალხის მხარდაჭერას და დემოკრატიული ღირებულებების დაცვას და ამასთანავე, ითვალისწინებს საქართველოსთან აშშ-ის ურთიერთობების გადახედვასა და პოტენციურ შემცირებას, მათ შორის – სამხედრო დახმარების და სხვა სახის მხარდაჭერის მიმართულებით. შემოთავაზებული კანონმდებლობა ასახავს აშშ-ის პოლიტიკის მოქნილ მიდგომას საქართველოს მიმართ. ის არ გულისხმობს, რომ აღარ ეცდებიან ურთიერთობების ნორმალიზებას, მაგრამ გვთავაზობს პირობებსა და ალტერნატიულ გზას. თუ საქართველო დაუბრუნდება დემოკრატიულ და პროევროპულ გზას, აშშ მზადაა დაიწყოს მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე (FTA) და საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის რეჟიმის განხილვას. და პირიქით, თუ საქართველო გააგრძელებს ამჟამინდელ გზას, აშშ გეგმავს ყოვლისმომცველი პერსონალური ფინანსური სანქციების დაწესებას, სავიზო პოლიტიკის შეზღუდვას და ქვეყნისთვის ფინანსური და სამხედრო დახმარების შემცირებას.

## **დაფარული ლოგიკა**

„ქართული ოცნების“ პარტიის ბოლო ქმედებებმა საფრთხე შეუქმნა საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს და მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას. „ქართული ოცნების“ მხრიდან დემოკრატიული ნორმების, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის დაცვის სურვილის არქონა ევროინტეგრაციის პრინციპებიდან გადახვევაზე მიუთითებს. ხელისუფლებაში ყოფნის 12 წლის შემდეგ „ქართულ ოცნებას“, როგორც ჩანს, გადაწყვეტილი აქვს ქვეყნის მმართველობაში განუსაზღვრელი ვადით დარჩენა, ის უგულებელყოფს საკანონმდებლო წინადადებებს და კრიტიკული მოსაზრებებს. ეს კი ერთპარტიულ რეჟიმზე გადასვლაზე მეტყველებს. „ქართული ოცნების“ ლიდერის, ირაკლი კობახიძის განცხადება, რომ პარტია მომავალ არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობით გაიმარჯვებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი რეიტინგი 40%-ზე დაბალია, შეშფოთებას იწვევს პოტენციური საარჩევნო მანიპულაციების თვალსაზრისით. მათ მიერ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება და თავისუფალი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების შეზღუდვა ავლენს სტრატეგიას, რომელიც ორიენტირებულია ძალაუფლების შენარჩუნებაზე ნებისმიერი გზით. საერთაშორისო რეაქციამ, მათ შორის ევროკავშირთან და შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების გაუარესებამ, შესაძლოა შეამციროს არჩევნების დამკვირვებელთა მისიები, რაც არგებს „ქართულ ოცნებას“. მათ მიერ დასავლური ინსტიტუტების არასამართლიანად წარმოჩენა, სავარაუდოდ, მიზნად ისახავს შიდასაზოგადოებრივი განწყობის ჩამოყალიბებას. როგორც ჩანს, ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი, არაფორმალური ძალაუფლების დაკარგვის შიშით,

ამ ცვლილებას მართავს. „ქართული ოცნების“ ბოლო მიტინგზე მან დაადანაშაულა დასავლეთი რეგიონული კონფლიქტების პროვოცირებაში და პირობა დადო, რომ დასჯის პოლიტიკურ ოპონენტებს და მათ უცხოელი აგენტები უწოდა. „ქართული ოცნების“ საკანონმდებლო ქმედებები ცხადყოფს დემოკრატიული ღირებულებების და საქართველოს კონსტიტუციის აშკარა უგულებელყოფას, რომელიც მხარს ევროინტეგრაციას უჭერს. ამ დროისთვის „ქართული ოცნების“ *pelagus metam*<sup>22</sup>, როგორც ჩანს, ორიენტირებულია ძალაუფლების კონსოლიდაციასა და არჩევნებში გამარჯვებაზე, საქართველოს ევროპული მომავლის ხარჯზე.

## დასკვნა

„ქართული ოცნების“ უპირველესი სამომავლო მიზანი გახდა ყველა გზით არჩევნებში გამარჯვება. ეს განზრახვა პირველად 2021 წელს გამოიკვეთა, როდესაც „ქართული ოცნების“ ლიდერებმა დაიწყეს ევროკავშირის, კოლექტიური დასავლეთისა და ლიბერალიზმის კრიტიკა და იდეოლოგიურ პლატფორმად რადიკალური კონსერვატიზმი აქციეს. საკამათო „რუსული კანონის“ შემოღება უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ მტრული ქმედება სამოქალაქო საზოგადოების მიმართ; ეს იყო მიზანმიმართული თანხვედრა მზარდ და გამყარებულ არალიბერალურ რეჟიმებთან, როგორიცაა რუსეთი, ჩინეთი, ირანი, ბელორუსია, უნგრეთი, სლოვაკეთი და ყირგიზეთი.

სავარაუდოდ, საქართველოს ხელისუფლება პროვოცირებას უწევს დასავლეთის ქვეყნებს საქართველოსგან დისტანცირებისკენ, რაც შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ევროატლანტიკური გზიდან გადახვევის გამართლებისთვის. ისინი ამბობენ, რომ ამ ცვლილებას განაპირობებს დასავლეთის არამეგობრული დამოკიდებულება და საქართველოს ევროპული გზის შენარჩუნების ინტერესის ნაკლებობა. ევროკავშირის მოთხოვნები საქართველოს მიმართ, დააკმაყოფილოს კონკრეტული პირობები შემდგომი ინტეგრაციისთვის, აღიქმება, როგორც „არჩეული ძალაუფლების“ დამცირებისა და დამოუკიდებელი ერის სუვერენული უფლებების შელახვის მცდელობა.

პარალელური დაპირებები საზოგადოებას, რომ 2030 წლისთვის<sup>23</sup> საქართველო შევა ევროკავშირში, მაშინ, როცა ევროკავშირის ყველა ინსტიტუტი და წევრი ქვეყანა აფრთხილებს ქვეყანას, რომ საქართველომ გადაუხვია ინტეგრაციის კურსს და ამჟამინდელი პოზიციის შეცვლის გარეშე ის ვერ გააგრძელებს თავის გზას ევროკავშირისკენ ან ნატოსკენ, სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება. შედეგად, საქართველო მართლაც გზაჯვარედინზე დგას და ხელისუფლება რისკავს და ჩიხში შეჰყავს ქვეყანა.

საქართველოს ბოლო ნაბიჯებზე საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია გასაგებია. ევროკავშირი და აშშ ცდილობენ შეინარჩუნონ ურთიერთობა საქართველოსთან, მიუხედავად მისი არასწორი ნაბიჯებისა, ხელი შეუწყონ დიალოგს და მისცენ დრო დაფიქრებისთვის, ვიდრე დაუყოვნებლივ დაანუსონ მკაცრი

22 ძირითადი მიზანი (Lat.).

23 PM: Georgia has ambitious goal to join EU by 2030. *Georgian Public Broadcaster*. 21.06.2024. <https://1tv.ge/lang/en/news/pm-we-have-ambitious-goal-to-make-georgia-eu-member-by-2030/>

სანქციები. ეს ხსნის მათ ყოყმანს მკვეთრი ზომების მიღებასთან დაკავშირებით. ისინი იფარგლებიან მუდმივი გაფრთხილებითა და მაღალი დონის კონტაქტების შემცირებით. ევროკავშირიც და აშშ-ც მიზნად ისახავენ ქართველი ხალხის ევროპული მომავლის იმედის შენარჩუნებას და იმის უზრუნველყოფას, რომ მომავალი არჩევნები ხალხის ნებას ასახავდეს.

ამ ნაბიჯების გადადგმით ევროკავშირის შეუძლია გააგრძელოს ქართველი ხალხის მისწრაფებების მხარდაჭერა და ხელი შეუწყოს მთავრობას, რომ იმოქმედოს ევროპული ღირებულებებისა და სტანდარტების შესაბამისად.

- ქართველ ხალხის გვერდში მტკიცედ დგომა: ქართველი ხალხისა და მისი დემოკრატიული მისწრაფებების ურყევი მხარდაჭერის შენარჩუნება. საქართველოში დამოუკიდებელი მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა აქტორების მხარდაჭერის გაზრდა.
- მიზნობრივი ზომების შემუშავება: ნებისმიერი სანქციების ან ზომების საგულდაგულო შემუშავება, „ქართული ოცნების“ მიერ საქართველოს დემოკრატიული მოკავშირეების დისკრედიტაციის ან ნეგატიური განწყობების გაძლიერების თავიდან ასაცილებლად, რადგან ამან შეიძლება უკუშედეგი გამოიღოს და იყოს კონტრპროდუქტიული.
- ფინანსური და ტექნიკური დახმარება დემოკრატიული რეფორმებისა და ევროკავშირის ღირებულებების შესაბამისობაში ხელშესახები პროგრესის მისაღწევად.
- პასუხისმგებლობის დაკისრება „ქართული ოცნებისთვის“: იმის უზრუნველყოფა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ და მასთან დაკავშირებულმა ოფიციალურმა პირებმა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საქართველოს პოლიტიკურ შემობრუნებაზე, პასუხი აგონ შედეგებზე და დისკომფორტი შეექმნათ თავიანთი ქმედებების გამო.
- ევროკავშირში განვერიანების მოლაპარაკებების შეჩერება: ამ ეტაპზე საქართველოს ევროკავშირში განვერიანების შესახებ მოლაპარაკებების ინიცირებისგან თავის შეკავება.
- ნორმალური ურთიერთობების ცვლილება: ევროკავშირის ოფიციალურმა პირებმა უნდა შეზღუდონ „ქართულ ოცნებასთან“ რეგულარული ურთიერთობა, რაც მინიშნებს ქართველ ხალხს, რომ არსებული ვითარება მიუღებელია.
- „ქართული ოცნების“ ნდობის დაკარგვის დემონსტრირება: ნათლად ჩვენება, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგა საერთაშორისო პარტნიორების ნდობა, მით უმეტეს, რომ მომავალი არჩევნები გადამწყვეტი იქნება საქართველოს მომავლისთვის.
- თავისუფალი არჩევნების უზრუნველსაყოფად: ევროკავშირმა და აშშ-მ უნდა გადადგან ყველა საჭირო ნაბიჯი, რათა უზრუნველყონ, რომ საქართველოში მომავალი არჩევნები იყოს თავისუფალი და სამართლიანი, რაც გადამწყვეტია რეჟიმის შეცვლისა და პროევროპული კოალიციის მხრიდან ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლობის აღებისათვის.

სამოქალაქო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია მჭიდრო კავშირის დამყარება საზოგადოებასთან და იმ ადამიანების ცნობიერების ამაღლება, ვინც შესაძლოა ჯერ კიდევ ვერ იაზრებს, რამდენად სავალალო შედეგებს გამოიღებს ქვეყნის ევროპული გზიდან გადახვევა. სამოქალაქო საზოგადოებამ მტკიცედ უნდა დაიცვას დემოკრატიული ღირებულებები და თავი შეიკავოს უცხოურ აგენტებად დარეგისტრირებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეროვნული წინააღმდეგობის მთელი ნარატივი შეიძლება ფუჭი აღმოჩნდეს.

## გამოყენებული წყაროები

- Civil.ge. “Georgia to Refuse Conditional EU Loan, Garibashvili Says”. 31/08/2021. <https://civil.ge/archives/437831>
- Civil.ge. PM Kobakhidze Visits Germany. 12/04/24. <https://civil.ge/archives/591551>
- Council of Europe. European Court of Human Rights. [https://www.echr.coe.int/documents/d/echr/convention\\_ENG](https://www.echr.coe.int/documents/d/echr/convention_ENG)
- Council of Europe, Venice Commission. Georgia - Draft Law of Georgia on Transparency of Foreign Influence. 13.05.2024. [https://venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-REF\(2024\)021-e](https://venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-REF(2024)021-e)
- European Commission. Commission Opinion on Georgia’s application for membership of the European Union. 17.06.2022. Page 17. [https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/document/download/a95905d5-9783-4a1b-aeef2-1740a79eda49\\_en?filename=Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/document/download/a95905d5-9783-4a1b-aeef2-1740a79eda49_en?filename=Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf)
- European Commission. 2023 Communication on EU Enlargement. 8.11.2023. 690 final. p.75. [https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/COM\\_2023\\_690%20Communication%20on%20EU%20Enlargement%20Policy\\_and\\_Annex.pdf](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/COM_2023_690%20Communication%20on%20EU%20Enlargement%20Policy_and_Annex.pdf)
- European Commission. Macro-financial assistance to Georgia of up to EUR 150 million. MEMORANDUM OF UNDERSTANDING between The European Union as Lender and Georgia as a borrower. 2020. Page 5. [https://economy-finance.ec.europa.eu/document/download/5a0d3c01-b4ac-4960-b45e-de59ca119cb5\\_en?filename=georgia\\_mou\\_2020\\_en.pdf](https://economy-finance.ec.europa.eu/document/download/5a0d3c01-b4ac-4960-b45e-de59ca119cb5_en?filename=georgia_mou_2020_en.pdf)
- European Council. ‘A way ahead for Georgia’. Proposal by President of the European Council Charles Michel to the representatives of Georgian political parties. 18.04.2021. [https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/210418\\_mediation\\_way\\_ahead\\_for\\_publication\\_0.pdf](https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/210418_mediation_way_ahead_for_publication_0.pdf)

- European Council conclusions on Ukraine, the membership applications of Ukraine, the Republic of Moldova and Georgia, Western Balkans and external relations. European Council, 23.06.2022. <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2022/06/23/european-council-conclusions-on-ukraine-the-membership-applications-of-ukraine-the-republic-of-moldova-and-georgia-western-balkans-and-external-relations-23-june-2022/>
- European Council. European Council meeting (27 June 2024) – Conclusions. 27,06,2024. <https://www.consilium.europa.eu/media/qa3lblga/euco-conclusions-27062024-en.pdf>
- European External Action Service. Georgia: Statement by the High Representative and the Commissioner for Neighbourhood and Enlargement on the adoption of the “transparency of foreign influence” law. 17.04.2024. [https://www.eeas.europa.eu/eeas/georgia-statement-high-representative-and-commissioner-neighbourhood-and-enlargement-adoption\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/georgia-statement-high-representative-and-commissioner-neighbourhood-and-enlargement-adoption_en)
- European Parliament. European Parliament resolution of 25 April 2024 on attempts to reintroduce a foreign agent law in Georgia and its restrictions on civil society. 25.04.2024. [https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2024-0381\\_EN.html](https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2024-0381_EN.html)
- Georgian Public Broadcaster. PM: Georgia has ambitious goal to join EU by 2030. 21.06.2024. <https://1tv.ge/lang/en/news/pm-we-have-ambitious-goal-to-make-georgia-eu-member-by-2030/>
- Georgian Public Broadcaster. US State Department comments on Georgia’s draft Law on Foreign Influence Transparency. 04.04.2024. <https://1tv.ge/lang/en/news/us-state-department-comments-on-georgias-draft-law-on-foreign-influence-transparency/>
- Georgian Public Broadcaster. US Department of State finds Georgian Transparency bill “incredibly troubling”. 26.04.2024. <https://1tv.ge/lang/en/news/us-department-of-state-finds-georgian-transparency-bill-incredibly-troubling/>
- OSCE/ODIHR. Georgia’s “transparency of foreign influence” law incompatible with democratic standards and human rights law: international human rights office ODIHR. 30.05.2024. <https://www.osce.org/odihhr/569925>
- Ridgwell, Henry. Georgia’s NGOs refuse to comply with ‘Russian’ foreign agent law. Voice of America. 13.07. 2024. <https://www.voanews.com/a/georgia-ngos-refuse-to-comply-with-russian-foreign-agent-law/7654730.html>
- United Nations. International Covenant on Civil and Political Rights. General Assembly resolution 2200A (XXI). 16.12. 1966. <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-covenant-civil-and-political-rights>
- US Embassy in Tbilisi. Assistant secretary of state for European and Eurasian affairs James O’Brien remarks to media in Tbilisi. 14.05.2024. <https://ge.usembassy.gov/assistant-secretary-of-state-for-european-and-eurasian-affairs-james-obrien-remarks-to-media-in-tbilisi/>
- US Embassy in Tbilisi. U.S. Embassy statement on Georgian Dream’s withdrawal from April 19th agreement. 29.07.2021. <https://ge.usembassy.gov/u-s-embassy-statement-on-georgian-dreams-withdrawal-from-april-19th-agreement/>